პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 249 (3226)

25 დეკემბერი, კვირა 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი





მაინც სათავეში

პარიზი, 23 დეკემბერი. „ევროპის პირველობაში წარუმატებლობის მიუხედავად, სსრ კავშირის ძალოსნებს კონტინენტზე წლეულსაც მოწინავე პოზიციები უკავიათ“, — ასეთი აზრისაა საფრანგეთის უდიდესი სპორტული გაზეთი „ეკიპი“, რომელმაც თავისი დასკვნები წლევანდელ სეზონში „სპორტის დედოფლის“ რაინდების ყველა გამოსვლის საფუძველზე გააკეთა. საბჭოთა კავშირს პირველობა მიეკუთვნა ქულათა იმ მაქსიმუმისთვის (920 ქულა), რომელიც ჟაჟთა ოლიმპიური პროგრამის (მარათონის გარდა) 20 სახეობის შეფასებით მიიღო. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სპორტსმენებმა შარშანდელთან შედარებით 216 ქულით, 1958 წელთან შედარებით კი 30 პროცენტით ნაკლები მოაგროვეს (მაშინ საბჭოთა ძალოსნებს 1246 ქულა ჰქონდათ).

მეორე ადგილზე გავიდა გფრ — 666,5 ქულა, მესამეზე — საფრანგეთი — 482,5, მეოთხეზე — გდრ — 423,5 (ამ ქვეყანამ წლეულს ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწია და შარშანდელ „ნადავლს“ ერთბაშად 90,5 ქულა დაუმატა). მეხუთე ადგილზეა პოლონეთი — 404 ქულა (65,5 ქულით მეტი, ვიდრე შარშან).

შემდეგი ადგილები დაიკავეს: ინგლისმა — 352,5 (74 ქულით მეტი), უნგრეთმა — 207 (14,5 ქულით ნაკლები), ფინეთმა — 162,5 (31,5 ქულით ნაკლები), ჩეხოსლოვაკიამ — 141 (74 ქულით ნაკლები), იტალიამ — 125 (51 ქულით ნაკლები), შვეციამ — 102,5 (2,5 ქულით ნაკლები), ბელგიამ — 91.

როგორც ვიუწყებოდით, ძალოსანთა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს ათლეტები დ. შანიძე და გ. კოჩიევი.

ქვემსუბუქ წონაში დ. შანიძემ აჰიმვაში მხოლოდ 107,5 კგ დაძლია და პირველ ათეულს ბოლოში მოექცა. ატაცში მან იგივე შედეგი გაიმეორა, რითაც ორჭიდის ჯამში IV ადგილზე გადაინაცვლა. სამაგიეროდ, ქართველ ძალოსანს ტოლი არ ჰყავდა აკვრაში, სადაც საუკეთესო შედეგი (142,5 კგ) აჩვენა და სამჭიდში 357,5 კილოგრამით II საპრიზო ადგილზე დამკვიდრდა.

გ. კოჩიევი თავიდანვე სათავეში ჩაუდგა საშუალო წონის ათლეტთა ჯიდილს და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა. სამჭიდში მან 460 კგ დააგროვა და 10 კილოგრამით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს — ს. შარიპოვსა (მოსკოვი) და ნ. ხოროშაევს (რსფსრ).

• • •

სურათებზე: დ. შანიძე (ქვევით) და გ. კოჩიევი ასპარეზობისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

სააგენტოები გვატყობინებენ

საჭადრაკო ამბები

● ლენინგრადი, 23 დეკემბერი. მოშაშეთა აქ დამთავრებულ საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში 2 კოლექტივი — „შეიარაღებული ძალები“ და „ტრუდი“ ეცილებიან ერთმანეთს ოქროს მედლებს. მეტოქეებმა 34,5-34,5 ქულა მოაგროვეს და მათ შორის დამატებითი მატჩი გამოავლენს უძლიერესს. ბრინჯაოს მედლები გადაეცა „ლოკომოტივის“ ნაკრებს, რომლის სახელს იცავდნენ მოსკოველები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. შჩოგოლევი, მ. რალკინი, ვ. ჩეჩიკოვი, ლ. აგაფონოვა, ლენინგრადელები პ. სვიატოი, მ. ბურკოვსკი. რკინიგზელებმაც „ავანგარდის“ მოშაშეებთან ერთად ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (30,5), მაგრამ ვინაიდან მათ შორის შეხვედრა „ლოკომოტივის“ გამარჯვებით დამთავრდა, „ავანგარდმა“ IV ადგილი დაიკავა. ჩემპიონატი სიურპრიზებით იყო აღსავსე. გამორჩენილი ოსტატებიც კი ვერ გადაურჩნენ მარცხს. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონმა ი. კუპერმანმა წააგო ვ. შჩოგოლევთან, სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. სპასკაიამ ორჯერ დათმო პარტია, ჯერ ა. ველიკოვსკაიასთან („ავანგარდი“), შემდეგ კი — ვ. კოვზანთან („კრასნოე ზნამია“).

● მინსკი, 28 დეკემბერი. მოსკოველმა ვ. მეშკოვმა ყველას აჯობა ფიგურული სრიალის უძლიერეს ოსტატთა აქ გამართულ შეჯიბრებაში. ერთეულთა შორის სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამებით ასპარეზობაში მან 1.657,9 ქულა დააგროვა. ლენინგრადელი ბ. კურენბინი 1.637,1 ქულით II ადგილზე გავიდა. III იყო მოსკოველი სტუდენტი ს. ჩეტვერუხინი — 1.593,8.

ბრძოლა 6 საგზურისთვის დამთავრდა

მე-2 გვ.

ისტორიულ ძებლებში...

მე-3 გვ.

ლაპარაკობს კიევის დინამოელთა მწვრთნელი

მე-4 გვ.

◆ მინსკი, 24 დეკემბერი. წყვილთა სრიალში ლენინგრადელი ოსტატები თ. მოსკვინა და ა. მიშინი გამარჯვებული გამოვიდნენ სსრ კავშირის უძლიერეს ფიგურისტთა აქ მიმდინარე შეჯიბრებაში. ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის, ტ. ჟუკისა და ა. გორელიკის გარეშე, ლენინგრადელებმა ელემენტების სიახლითა და კომბინაციების სირთულით ყველა მეტოქე დაჯაბნეს. სავალდებულო პროგრამის შემდეგ მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ თანაქალაქელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი, რომლებიც საბოლოო ჯამში II ადგილზე დამკვიდრდნენ. III ადგილზე დარჩნენ მოსკოველები ტ. შარანოვა და ა. ევდოკიმოვი.

◆ გოტვალდოვო, 24 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში მატჩით დაიწყეს ტურნე მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ჰოკეისტებმა. ადგილობრივ

ჰოკეისტების საათი...

კლუბ „ტესთან“ შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 7:3.

◆ რიჯაინი (კანადა), 24 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა აქ მოუგო ადგილობრივ „რიჯაინ კეპსს“ — 11:2.

◆ ოტავა, 24 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები ჩავიდა კუნძულ ნიუფაუნდლენდის ქალაქ კორნერბრუკში, სადაც პირველი მატჩი გამართა ადგილობრივ კლუბ „კორნერ-ბრუკ-როიალსთან“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 28:0. დღეს საბჭოთა ჰოკეისტები შეხვდებიან ნიუფაუნდლენდის პროვინციის დედაქალაქ სენტ-ჯონსის გუნდს, სსრ კავშირის ნაკრები 28 და 30 დეკემბერს კიდევ ორ მატჩს გამართავს, ხოლო ახალი წლის პირველ დღეს ჩაებმება „საუკუნის ტურნირში“, რომელიც ვინიპეგში დაიწყება. საბჭოთა სპორტსმენებს გარდა ასპარეზობაში გამოვლენ ჩეხოსლოვაკიის, კანადისა და აშშ-ის ეროვნული გუნდები. ტურნირი ეძღვნება კანადის ჰოკეის 100 წლისთავს.

◆ ვაისვარე (გდრ), 24 დეკემბერი. ალანის თასის მფლობელებმა — კანადის კლუბ „დრამჰელერ მაინერსის“ ჰოკეისტებმა აქ კიდევ ერთხელ ითამაშეს გდრ-ის ნაკრებთან. ოკეანისგაღმელებმა გაიმარჯვეს — 2:0.

ფეხბურთელის ნიმუში

ლონდონი, 24 დეკემბერი. ინგლისელმა საფეხბურთო მსაჯებმა „ფეხბურთელის ნიმუშად“ აღიარეს მსოფლიო ჩემპიონთა ნახევარმცველი ბობი ჩარლტონი. იგი მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისის ნაკრებში თამაშობდა, გაიტანა 3 გოლი და ფეხბურთის „ვარსკვლავთაგან“ ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც არც ერთი სერიოზული შენიშვნა არ მიუღია მსაჯთაგან. „იგი ფეხბურთის ნამდვილი ჯენტლმენია, მას ვერც კი გამოიწვევ უხეშობაზე“, — განაცხადა გამოკითხვის ერთ-ერთმა მონაწილე არბიტრმა. გაზეთ „დეილი მეილის“ ანკეტის მიზანი იყო გამოერკვია ფეხბურთელი, რომელიც იდეალად გამოდგებოდა ტყავის ბურთის ჭაბუკი მოყვარულებისთვის.

ეს სურათი გადაღებულია თბილისში გამართული საერთაშორისო ტურნირის დღეებში. თქვენ ხედავთ საქართველოსა და იუგოსლავიის ხელბურთელთა მატჩის ერთ-ერთ მომენტს: საქართველოს ნაკრების წევრს ლ. კარტოზიას რთული მდგომარეობიდან გააქვს გოლი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

ფეხბურთი — შთაგონების წყარო

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი რ. გაჯიევი სპორტულ კარიერას ჯერ კიდევ ჭაბუკობაში დაემშვიდობა, როცა III თანრიგი მიიღო კრივში.

მაგრამ ახლა, როცა დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა ოპერეტებმა „კუბა, ჩემო სიყვარულო", „რომეო, ჩემი მეზობელი", როცა ხალხმა შეიყვარა მისი სიმღერები, გაჯიევი კვლავ დაუბრუნდა ახალგაზრდობის გატაცებას — სპორტს. არა, მოკრივის ხელთათმანები არ ჩაუცვამს. თავის პროფესიას არ უღალატა, როიალს მიუჯდა და სპორტული სიმღერა შეთხზა. შთააგონა კომპოზიტორი მისმა საყვარელმა ფეხბურთელთა გუნდმა „ნეფტიანიკმა", რომელმაც აზერბაიჯანის ისტორიაში პირველად მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

მასთან ერთად სპორტში დებიუტი ჰქონდა ახალგაზრდა კომპოზიტორს ვ. ადიგეზალოვსაც, რომელსაც აქამდე მხოლოდ საოპერო და სიმფონიური ნაწარმოებებით იცნობდნენ. ადიგეზალოვმაც „ნეფტიანიკის" ემხით „უღალატა" საყვარელ ჟანრებს. ამ გუნდს მიუძღვნა მან „გულშემატკივრის სიმღერა".

სპორტსმენები ხშირად სთხოვენ ხელოვნების მოღვაწეებს—მეტი წერეთ ჩვენთვისო. პასუხი ერთია: თქვენ უფრო ხშირად გაიმარჯვეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს!

ა. ნიკოლსკი.

ბაქო.

ყინვაში მეგობრობა გვათბობს

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მაგადანის მკვიდრთა საყვარელი სახეობა... წყალქვეშ ცურვაა. ახლა, როცა იქ ქარიშხალი ბობოქრობს და ფიცხელი ყინვაა, მაგადანელი აქვალანგისტები ერთი დღითაც არ წყვეტენ წყალქვეშა „მოგზაურობებს".

— ყინვა ხელს ვერ შეგვიშლის, — ხუმრობენ ისინი. — ადრიატიკელ „კოლეგებთან" მეგობრობა გვათბობს.

მაგადანის კლუბის „სივუჩის" აქვალანგისტებს დიდი ხანია მიწერ-მოწერა აქვთ ქალაქ პულის (იუგოსლავია) სპორტსმენებთან. სათქმელი და ურთიერთგასაზიარებელი კი ბევრი აქვთ: ჩაშვების გამოცდილება, თავთავიანთი ზღვების ფლორისა და ფაუნის თავისებურება. ამ ზაფხულს იუგოსლაველებმა „სივუჩის" თავმჯდომარე ვ. გერასიმოვი თავისთან მიიწვიეს სტუმრად და შინ დაბრუნებისას სამახსოვრო თასი გაატანეს. ახლა ეს თასი „სივუჩის" აქვალანგისტების შეჯიბრებების მთავარი პრიზია.

მაგადანი.

ჭადრაკის დედოფალი ამარცხებს... ჩოგბურთელებს

ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. პარტიებს შორის შესვენებებისას მან მოიგო... მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი. ეს ასპარეზობა „აზგოსპრომპროექტის" სპორტსმენებმა მოაწყეს. მათ ნონა სტუმრად მიიწვიეს და რაკი მასთან ჭადრაკში შეჯიბრება ვერ გაბედეს, მაგიდის ჩოგბურთში ასპარეზობა შესთავაზეს. ნონა დასთანხმდა და ერთიმეორეზე დააყრევინა ფარ-ხმალი ყველა მეტოქეს — თანრიგოსან ვაჟებსა და ქალებს.

ცოტა ადრე ნონა ბაქოს ერთ-ერთმა რედაქციამ მიიწვია ნარდში საკოლექტივო პირველობის პრიზიორთა დაჯილდოებაზე. იქ ჭადრაკის დედოფალმა მიიღო ჩემპიონის გამოწვევა და... დაამარცხა იგი.

ნ. ანდრეევი.

ბაქო.

საბჭოთა ავიატორების ფორუმი

289 საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 202 მსოფლიო მიღწევას აღემატება, დაამყარეს ჩვენმა ავიასპორტსმენებმა ბოლო სამწლინახევრის განმავლობაში. მოპოვებულ იქნა საპარაშუტო და სათვითმფრინავო სპორტში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატების თითქმის ყველა ოქროს მედალი. მრავლდება საავიაციო შეჯიბრებების მონაწილეთა რიცხვი, ათასობით ავიატორი სპორტის ოსტატი გახდა. მაგრამ საჭიროა კვლავ უფრო მასობრივი გავხადოთ საავიაციო სპორტი, ვიბრძოლოთ ახალი რეკორდებისა და მიღწევებისთვის, წარმატებით გამოვიდეთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში.

ყველაფერი ეს ითქვა 22 დეკემბერს მოსკოვში გამართულ საავიაციო სპორტის საკავშირო ფედერაციის პლენუმზე.

დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ავიასპორტის ფედერაციებში შემავალი სპორტული საავიაციო კომიტეტები გარდაიქმნა სათვითმფრინავო, საპარაშუტო, ავიასამოდელო და საპლანერო სპორტის დამოუკიდებელ საკავშირო ფედერაციებად.

საავიაციო სპორტის ფედერაციის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს სსრ კავშირის სამგზის გმირი ი. კოჟედუბი, საპატიო თავმჯდომარედ — ფაი-ს პრეზიდენტი, სსრ კავშირის ორგზის გმირი, ცნობილი მფრინავი-გამომცდელი ვ. კოკინაკი. ამ უკანასკნელმა კოსმონავტ პ. ბელიაევს პლენუმზე გადასცა მედალი სიმაღლის მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის, რომელიც მან დაიმსახურა 497,7 კილომეტრზე ორბიტალური ფრენისთვის. მაღალი სპორტული მაჩვენებლებისთვის ტისანდიეს დიპლომები გადაეცათ ზ. სოლოვეის, ე. შუნილოვს, ა. სკოპინოვას, ნ. პროხანოვას, ს. მალიკსა და სხვა სპორტსმენებს.

სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში თბილისის ნორჩ დინამოელებსა და რუსთავის ჭაბუკთა გუნდს შორის თავი გამოიჩინა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ძიძიგურმა. იგი უშიშრად ებმებოდა რუსთაველ მცველებთან ორთაბრძოლებში, ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა და 2 გოლიც გაიტანა.

* * *

სურათზე: ვ. ძიძიგური ბურთისთვის ბრძოლის მომენტში.

ფოტო ი. იუნაევისა.

აკრობატიკას — მეტი ყურადღება!

რუსთავში ამას წინათ გაიმართა მოსწავლე აკრობატთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისისა და მასპინძელთა ნაკრები გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დედაქალაქის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთისა და რუსთავის წარმომადგენლები. პირად ტურნირში ოსტატობის პროგრამით მოასპარეზე ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს სპორტის ოსტატებმა ა. თედეევმა და პ. მიქიაშვილმა. ჯგუფურ ვარჯიშებში უძლიერესნი იყვნენ რუსთაველი სპორტსმენები შ. ჩოდრიშვილი, მ. და ზ. მელაძეები და ქ. ყაზარიანი. ვაჟთა ხტომებში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ მოსწავლე ჯ. ლაშხს, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. ამ სახეობაში გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ა. პოღოსიანმა. მანაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

პირველთანრიგოსანი გოგონებიდან თავისუფალ ვარჯიშში გაიმარჯვა რ. სიხარულიძემ (აჭარა).

ქების ღირსია რუსთავის განათლების განყოფილების სპორტული სკოლა, რომელმაც ასპარეზობაში 27 აკრობატი გამოიყვანა. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ეს სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობაში, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. მართალია, აკრობატიკა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში არ არის შეტანილი, მაგრამ ხომ ცხადია: თუ სპორტული ტანვარჯიშის წარმომადგენლები ხეირიანად არ არიან დაუფლებული აკრობატიკის ელემენტებს, ისე თავისუფალ ვარჯიშში წარმატებას ვერ მოიპოვებენ.

რესპუბლიკაში როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა მხოლოდ 21 ჯგუფი არსებობს და მაინც შესაძლებელი გახდა შარშან 13, ხოლო წლეულს 10 სპორტის ოსტატის მომზადება. ჩვენ გვყავს სსრ კავშირის პირველობის 2 პრიზიორი, სტუდენტთა თამაშების ოქროს 1, ვერცხლის 4, ბრინჯაოს 2 მედალოსანი. აკრობატიკას მეტი ყურადღება რომ ექცეოდეს, ცხადია, წარმატებებიც უფრო საგრძნობი იქნებოდა.

მუშაობაში ხელს გვიშლის მწვრთნელთა კვალიფიციური კადრების უქმარობაც.

მ. ქელეასაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ინდოელი მოჭადრაკეები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი ინდოელი მოჭადრაკეები — საერთაშორისო ოსტატი მანუელ აარონი და ეროვნული ოსტატი რუსი მადონი, რომლებიც სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებიან.

ჩვენი სტუმრები უკვე იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ამ ქალაქების საჭადრაკო ცხოვრებას.

ინდოელი ოსტატები რამდენიმე დღეს დარჩებიან თბილისში, დაესწრებიან სსრ კავშირის 34-ე საჭადრაკო ჩემპიონატის გახსნას.

დიდ ინტერესს იწვევს ინდოელ მოჭადრაკეთა მეგობრული მატჩი (ორ-ორი პარტია) თბილისელ კოლეგებთან. მ. აარონს შეხვდება საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, რ. მადონს კი — თბილისის ჩემპიონი, ოსტატი ი. ჩიქოვანი.

ინდოელ და თბილისელ ოსტატთა მატჩი ჩატარდება ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. დღეს შედგება I ტური, ხვალ — II ტური, ხოლო ზეგ — გადადებული პარტიების დამთავრება.

საჭადრაკო სამყაროში ფართოდაა ცნობილი 31 წლის მ. აარონის სახელი. იგი 500-მილიონიან ინდოეთში ერთადერთი საერთაშორისო ოსტატია. ეს წოდება მან 1961 წელს დაიმსახურა. ინდოეთის ჩემპიონატებში ასეთი შედეგები მოიპოვა: 1957 წელს — II ადგილი, ხოლო 1959 და 1961 წლებში — I. აარონი XIV საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილეა, სადაც სენსაციური პარტია მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ეივეს. 1960-61 წლებში მან მატჩები მოუგო მონღოლ მომოს (3:1) და ავსტრალიელ პურდის (3:0) და 1962 წლის საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიხვეჭა (ამ ტურნირში იგი 23-ე ადგილზე გავიდა).

რ. მადონი შედარებით ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი მოჭადრაკეა.

თ. ნინოშვილი.

მეთხუთმეტე პრეტენდენტი

შუმენში (ბულგარეთი) ჩატარდა ქალთა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი ზონალური ტურნირი, საიდანაც პრეტენდენტთა ტურნირში გავიდნენ დრეზდენელი მასწავლებელი ვ. ნოვარი (I ადგილი, 9,5 ქულა), ბუქარესტის უნივერსიტეტის პედაგოგი ა. ნიკოლაუ და სოფიელი ექიმი ვ. ასენოვა (II-III, 9-9 ქულა).

იმის გამო, რომ ტურნირი უაღრესად ძლიერი შემადგენლობისა იყო და მასში IV-V ადგილები გაიყვეს რუმინელმა მოჭადრაკეებმა ე. პოლიქრონიადემ და მ. პერევოზნიკმა (8,5-8,5 ქულა), რუმინეთის ჭადრაკის ფედერაციამ ფიდე-ს წინაშე აღძრა საკითხი ამ ზონალური ტურნირიდან პრეტენდენტებში მეოთხე მოჭადრაკის დაშვების თაობაზე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ვარნის ზონალური ტურნირის ყველა მონაწილემ.

ფიდე-მ დააკმაყოფილა რუმინეთის ჭადრაკის მესვეურთა თხოვნა და დანიშნა მატჩი (4 პარტია) პოლიქრონიადესა და პერევოზნიკს შორის. ეს ორთაბრძოლა, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა სოფიაში, დამთავრდა პერევოზნიკის გამარჯვებით — 2,5:1,5. ასე გაირკვა პრეტენდენტთა ტურნირის მეთხუთმეტე მონაწილე.

ფინალისტები

დედაქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დასრულდა თბილისის 1967 წლის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალები. სამ შესარჩევ ტურნირში 34 მოჭადრაკე იბრძოდა ფინალის 6 საგზურისთვის.

პირველ ჯგუფში I-III ადგილები გაიყვეს დ. ჯანოევმა, გ. ვარდოსანიძემ და ა. კაპანაძემ — 8,5-8,5 ქულა 11-დან. მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით ფინალში პირველი ორი მოჭადრაკე მოხვდა.

მეორე ჯგუფში ყველას აჯობა ვ. დავითაშვილმა — 8 ქულა 9-დან. II-III ადგილები 7-7 ქულით გაინაწილეს გ. კალატოზიშვილმა და ა. ჩახოიანმა. კოეფიციენტთა ცხრილით გ. კალატოზიშვილს უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა და ფინალში ის ითამაშებს.

ა. კაპანაძე და ა. ჩახოიანი ფინალის პირველი კანდიდატები არიან.

მესამე ჯგუფში შესანიშნავად ითამაშეს ვეტერანმა ო. თურქესტანიშვილმა და ლ. კერნოჟიცკიმ. მათ დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი და 9,5-9,5 ქულით (11-დან) I-II ადგილები გაიყვეს.

ფინალური ტურნირი გაიმართება გაისად, თებერვალში. მასში ყველა თბილისელი ოსტატია მიწვეული.

„ოლიმპიური" თასი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიგურული სრიალის სკოლაში, ხელოვნური ყინულის საციგურაოზე დაიწყო თბილისის თასის გათამაშება ფიგურულ სრიალში. ტარდება მხოლოდ პირადი პირველობა.

ასპარეზობის პირველი დღე სავალდებულო ვარჯიშებს დაეთმო. უმცროსი ასაკის მოსწავლეები მოზარდთა პირველი, მეორე და მესამე თანრიგის პროგრამის შესრულებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, უფრო გამოცდილები — მოზრდილთა პირველი თანრიგისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გამოდიოდნენ.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თბილისის 126-ე სკოლის მეექვსეკლასელ მ. ხაჩატუროვასა და 54-ე სკოლის მეცხრეკლასელ თ. ჯიქიას შორის მოზრდილთა პირველი თანრიგის პროგრამით. ხაჩატუროვამ სავალდებულო ვარჯიშში 280,4 ქულა მოაგროვა და დაწინაურდა. ჭაბუკებში ლიდერობა ხელთ იგდო 50-ე სკოლის მეექვსეკლასელმა გ. იაშვილმა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით სასპარეზოდ ყინულზე გამოვიდა შარშანდელი თასის მფლობელი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის პირველკურსელი ი. ჯაფარიძე. თუმცა მეტოქე არ ჰყავდა, მან ვარჯიში დახვეწილად, დიდი ოსტატობით შეასრულა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

დღეს, 25 დეკემბერს, გაიმართება შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი — ნებისმიერი სრიალი. ტურნირი დაიწყება 16 საათზე.

ვ. ნედაშკოვსკი.

დაიგვიანა ზამთარმა საქართველოში. მთებში ამას წინათ ჩამოთოვა, ბარში კი მზიანი, ზოგჯერ მცხუნვარე დღეებია, რაც სპორტის ზაფხულის სახეობების თაყვანისმცემლებს ღია ცის ქვეშ ვარჯიშის შესანიშნავ პირობებს უქმნის. ბუნების ამ წყალობას კარგად იყენებენ გორელი ათლეტები. ქალაქის სტადიონზე მძლეოსნები ვარჯიშობენ, კულტურისა და დასვენების პარკის სპორტთამაშების მოედნებზე — ფრენბურთელები და კალათბურთელები.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარბარიანმა

კარგად იყენებენ ბუნების წყალობას

ეს სურათი გუშინწინ გადაიღო. გორის ცენტრალურ სტადიონზე ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები ვარჯიშობენ მწვრთნელ ა. ზარქუას ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში

გაზეთ „ლელოს“ 29 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა თ. გიორგაძის წერილი „რომელი გრიგოლის ცხოვრება?“. წერილში აღნიშნულია, რომ სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ განმარტავს რა ჭადრაკს, იმოწმებს გრიგოლის ცხოვრებას. ავტორის აზრით, ამ გრიგოლის ვინაობის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ რა დროიდან ყოფილა ცნობილი ქართველებისთვის ჭადრაკი.

თ. გიორგაძე მიუთითებს 1962 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილ ა. აბრამიშვილის წერილზე, რომელშიც ავტორი ვარაუდობს, რომ საბას ლექსიკონში ნახსენები გრიგოლი უნდა იყოს ან გრიგოლ ნოსელი, ან გრიგოლ ნაზიანზელი (ორივე IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე); რადგან საბა თავისი ლექსიკონის ლიტერატურულ წყაროებში ორივე გრიგოლის ცხოვრებაზე მიუთითებს, ხოლო დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში მხოლოდ გრიგოლ ნოსელს ასახელებს, ამიტომ საბას სწორედ გრიგოლ ნოსელი უნდა ჰყავდეს მხედველობაში. ა. აბრამიშვილის აზრით, „ტერმინი ჭადრაკი საბას ქართულ ენაზე ამოუღია გრიგოლ ნოსელის „ცხოვრება და შესხმა ვასილი დიდისა და სხვანი სწავლანიდან“.

თ. გიორგაძეს საყურადღებოდ მიაჩნია ა. აბრამიშვილის მოსაზრება და ფიქრობს, რომ თუკი გრიგოლ ნოსელის, ე. ი. IV საუკუნის მოღვაწის თხზულებიდანაა აღნიშნული სიტყვა აღებული, მაშასადამე, შეიძლება დავუშვათ, რომ ქართველებისთვის უკვე IV საუკუნეში ყოფილა ცნობილი ჭადრაკი. ავტორი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი დააინტერესებს ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს და რომ ისინი შეეცდებიან დაადგინონ, თუ რომელი გრიგოლის ცხოვრებიდან აიღო საბამ სიტყვა ჭადრაკი, რითაც დიდ სამსახურს გაუწევენ ქართულ საჭადრაკო კულტურას.

გვინდა ჩვენი აზრი გამოვთქვათ აღძრული საკითხის გამო.

ა. აბრამიშვილისა და თ. გიორგაძის წერილებში აღნიშნულია, რომ საბას ლექსიკონში მითითებული გრიგოლი ან გრიგოლ ნოსელი უნდა იყოს, ან გრიგოლ ნაზიანზელი. სხვა გრიგოლი თითქოს გამორიცხულია. რის საფუძველზე გამოაქვთ ასეთი დასკვნა? საქმე ის არის, რომ „სიტყვის კონის“ 1949 წლის გამოცემას ბოლოში ერთვის საბას მიერ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, სადაც მართლაც მხოლოდ ეს ორი გრიგოლია ნახსენები. მაგრამ ლიტერატურის ეს ნუსხა საბას კი არ ეკუთვნის, როგორც ამას ა. აბრამიშვილი და თ. გიორგაძე მიიჩნევენ, არამედ აღნიშნული გამოცემის რედაქტორს (ს. იორდანიშვილს). ნუსხა სრული არ არის, მასში ბევრი ისეთი ძეგლი არ შესულა, რომელიც საბას ლექსიკონში აქვს გამოყენებული. სხვათა შორის, არც „გრიგოლის ცხოვრება“ არის შეტანილი; აქ მხოლოდ გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ღვთისმეტყველი (ე. ი. ნაზიანზელი) არიან დასახელებულნი.

შემდეგ. საბას „გრიგოლის ცხოვრება“ აქვს დამოწმებული. რა შუაშია აქ გრიგოლ ნოსელის „ბასილის ცხოვრება“? თხზულების სახელწოდებიდან ჩანს, რომ გრიგოლი აღნიშნული „ცხოვრების“ ავტორი კი არ არის, არამედ მთავარი მოქმედი პირია. საბას გრიგოლ ნოსელის თხზულება რომ ჰქონოდა მხედველობაში, ბასილის ცხოვრებას დაწერდა და არა გრიგოლისას. რომ გავიზიაროთ ა. აბრამიშვილის შეხედულება, საბას მიერ დამოწმებული სხვა თხზულებების — კვიპრიანეს ცხოვრების, ეკატერინას ცხოვრების, წმ. ნინოს ცხოვრების, წმ. შიოს ცხოვრების — ავტორებად შესაბამისად კვიპრიანე, ეკატერინა, წმ. ნინო და წმ. შიო უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ეს ასე არაა.

როგორც ვხედავთ, „გრიგოლის ცხოვრების“ მიკუთვნება გრიგოლ ნოსელისადმი მეტად ნებისმიერია და დაუსაბუთებელ ვარაუდს წარმოადგენს. მაგრამ დავუშვათ, რომ გრიგოლ ნოსელის, ე. ი. IV საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწის თხზულებაში მოხსენიებულია ჭადრაკი, განა ეს იმას მოასწავებს, რომ ქართველებმაც IV საუკუნეში ვიცოდით ეს თამაში? განა გრიგოლ ნოსელის თხზულებები მაშინვე ითარგმნებოდა ქართულად? სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ა. აბრამიშვილს ასე შორს მიმავალი დასკვნები არ გამოუყვანია. „თუ ეს მოსაზრება სწორია (ე. ი. გრიგოლ ნოსელის ავტორობა), — წერდა იგი, — მაშინ გამოდის, რომ საქართველოში X-XI საუკუნეებში სიტყვა ჭადრაკი და მისი ფუნქცია უკვე დამკვიდრებული ყოფილა“.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ზემოაღნიშნულ წერილზე. ჩვენ სულაც არა ვართ წინააღმდეგი, რომ ვეძებოთ ქართულ მწერლობაში ჭადრაკის მოხსენიების უძველესი კვალი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ იმგვარი საბუთებით, როგორიც ა. აბრამიშვილისა და თ. გიორგაძის წერილებშია მოყვანილი, ვერ გადაწყდება ეს საინტერესო საკითხი. და სანამ რაიმე ხელშესახები საბუთი არ გვიპოვნია, თავი უნდა შევიკავოთ ასეთი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ჰიპოთეზებისა თუ დასკვნებისაგან.

ამავე დროს გვინდა ზოგიერთი ფაქტით შევავსოთ ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში არსებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ჭადრაკი ქართულ მწერლობაში.

ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, თითქოს ჭადრაკი პირველად „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“, ე. ი. XII საუკუნის ძეგლებში გვხვდება, მომდევნო ხანებში კი XVII საუკუნემდე იგი არ იხსენიება. ასეთი აზრია გამოთქმული, მაგალითად, 1964 წელს მოსკოვში გამოცემულ „შახმატნი სლოვარში“. წერილში „ჭადრაკი საქართველოს სს რესპუბლიკაში“ (ავტ. თ. გიორგაძე) აღნიშნულია: „პირველად ჭადრაკი ნახსენებია რომანებში „ვისრამიანში“ (XII საუკუნის პირველი ნახევარი) და თამარ მეფის თანამედროვე მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ (XII საუკუნის მეორე ნახევარი)... XIII-XVII საუკუნეებში ქართულ ლიტერატურაში ჭადრაკი არ იხსენიება. ეს იმით აიხსნება, რომ ბიზანტიის ეკლესიამ ჯერ კიდევ XI საუკუნეში მკაცრად აუკრძალა მორწმუნეებს ჭადრაკი. ჭადრაკი მძაფრად ვითარდება XVII საუკუნიდან, როცა საქართველოს ისტორიაში დგება ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების პერიოდი“.

აქ ჩვენ არ გამოვეკიდებით იმას, XII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის თუ არა „ვისრამიანი“. ბეჭდვისმიერი შეცდომაა, რასაკვირველია, ისიც, თითქოს XIII-XVII საუკუნეებში ჭადრაკი არ იხსენიებოდეს. XIII-XVII-ის ნაცვლად XIII-XVI უნდა იყოს. აკი წერს ავტორი, რომ XVII საუკუნიდან მძაფრად ვითარდებაო ჭადრაკი და ქვემოთ სხვა მწერლებთან ერთად არჩილსაც ასახელებს.

საჭადრაკო ლიტერატურაში დღემდე მიღებული აზრი, თითქოს ქართულ მწერლობაში ჭადრაკი მხოლოდ XII საუკუნიდან დასტურდებოდეს, ზუსტი არ არის. სინამდვილეში ჭადრაკი უფრო ადრე, XI საუკუნის ძეგლში გვხვდება და შემდეგშიც XVII საუკუნემდე, კერძოდ, XV საუკუნის ხელნაწერშიც დასტურდება.

გრიგოლ ნოსელისა არა, მაგრამ მისი უფროსი ძმის ბასილი დიდის თხზულების „ექუსთა-დღეთას“ ქართულ თარგმანში, რომელიც XI საუკუნის ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს გიორგი ათონელს (1009-1065) ეკუთვნის, ვკითხულობთ: „რამეთუ უკუეთუ განგიტევნე თქუენ და დავჰხსნა შესაკრებელი ესე, რომელნიმე ჭ ა დ რ ა გ თ ა მიმართ წარვიდენ და რომელთამე ტაბლით მღერისა მიისწრაფონ“ (102,20). ეს ნიშნავს: „თქვენ რომ გაგიშვათ და დავშალო ეს კრება, ზოგი ჭადრაკისკენ გასწევს (წავა) და ზოგი ტაბლით სათამაშოდ (ე. ი. კამათლით სათამაშოდ) გაეშურება“.

აღნიშნული თხზულება 1947 წელს გამოსცა მ. კახაძემ. ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ლექსიკონშიც აქვს გატანილი ავტორს და ახსნილი აქვს, როგორც „ჭადრაკი, სათამაშო, კუბის ფორმის ძვლები, რომლებსაც ექვსსავე მხარეს აქვთ ქულები (ОЧКИ)“. ბერძნულ შესატყვისად მითითებულია: „კუბოს“. მოყვანილ ნაწყვეტში ორგვარი სათამაშოა დასახელებული: ჭადრაგი და ტაბლით მღერა. ბერძნულ დედანში კი მხოლოდ ერთი, კამათლებით თამაშია აღნიშნული. მ. კახაძემ გაარკვია, რომ გიორგი ათონელი თავისუფლად ეპყრობა სათარგმნელ ძეგლს, ზოგან ამოკლებს, ზოგან კი ავრცობს, უმატებს ტექსტს. კონკრეტულად, აღნიშნულ ნაწყვეტში მ. კახაძეს მიაჩნდა, რომ ბერძნული კამათლით თამაშის ქართული შესატყვისია ჭადრაგი, ტ ა ბ ლ ი თ მ ღ ე რ ა კი მთარგმნელის მიერ დამატებულია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბერძნულ ტექსტში მითითებულ კამათლებით თამაშს ქართულად სწორედ ტაბლით მღერა შეესატყვისება, მთარგმნელის მიერ შეტანილ დამატებას კი სწორედ ჭადრაგი წარმოადგენს. იმავე ძეგლის სხვა ადგილას (რამდენიმე სტრიქონის შემდეგ) სწორედ ტ ა ბ ლ ი თ მ ღ ე რ ა არის გამოყენებული კამათლებით თამაშის აღსანიშნავად: „და რომელი ტაბლით არა იმღერდეს...“

ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას თითქოს შემდეგი ფაქტი მოწმობს.

გიორგი მთაწმიდლის თარგმანის გარდა არსებობს ამ თხზულების უფრო ადრინდელი თარგმანიც. პროფ. ილ. აბულაძემ 1964 წელს ორი იერუსალიმური ხელნაწერის (№ 44, XII-XIII ს. და № 74, XIII-XVI ს.) მიხედვით გამოსცა ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“ უძველესი ქართული რედაქცია, რომელიც, მკვლევრის აზრით, VIII-IX საუკუნეს განეკუთვნება.

ამ უძველეს რედაქციაში აღნიშნულ ალაგას ჭ ა დ რ ა კ ი არ გვხვდება. გამოცემაში ეს ადგილი № 74 ხელნაწერის მიხედვითაა დაბეჭდილი და ასე იკითხება: „უკუეთუ განუტეო მე კრებული ესე, რომელნიმე მათგანნი წარვიდენ ტაბლისა ამისგან საღმრთოისა სიმღერად...“ (121, 31). ეს ნიშნავს: „რომ გავუშვა მე ეს კრებული, ზოგი მათგანი წავა ამ საღვთო სუფრიდან სათამაშოდ“. აქ, როგორც ვხედავთ, ტაბლიდან სათამაშოდ წასვლაზეა ლაპარაკი. მაგრამ უფრო ძველ ხელნაწერში (№ 44) ტ ა ბ ლ ი თ ს ი მ ღ ე რ ა გვაქვს: „რომელნიმე მათგანნი წარვიდენ ტაბლით სიმღერად“. ჩვენ ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ტექსტი უფრო ადრინდელ ვითარებას ასახავს, ბერძნულ დედანშიც ხომ კამათლებით თამაშზე („ტაბლით მღერაზე“) არის ლაპარაკი.

როგორც ჩანს, № 74 ხელნაწერის გადამწერს ფრაზაში: „წარვიდენ ტ ა ბ ლ ი თ ს ი მ ღ ე რ ა დ“ ტაბლით გამოსვლითის მნიშვნელობით (ტაბლიდან) გაუგია და იმავე მნიშვნელობის ფორმით „ტაბლისაგან“ (=სუფრიდან) შეუცვლია და მსაზღვრელი სიტყვაც („საღმრთოისა“) დაუმატებია.

გამოდის, რომ ბერძნული დედნის კამათლებით თამაშს ქართული თარგმანის უძველეს რედაქციაში ტ ა ბ ლ ი თ ს ი მ ღ ე რ ა შეესატყვისება, XI საუკუნის (გიორგი ათონელისეულ) თარგმანში კი ორი ტერმინი გვაქვს: ჭ ა დ რ ა გ ი და ტ ა ბ ლ ი თ მ ღ ე რ ა. ილ. აბულაძემ გაარკვია, რომ გ. ათონელს ხელთ ჰქონია „ექუსთა დღეთას“ უძველესი ქართული თარგმანი და უხელმძღვანელებია იმით. თუ გავიხსენებთ გ. ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებას (ტექსტის შემოკლება ან გავრცობა), უნდა ვიფიქროთ, რომ მას ტ ა ბ ლ ი თ მ ღ ე რ ი ს ა თ ვ ი ს სხვა ტერმინიც, უფრო სწორად, სხვა სათამაშოს აღმნიშვნელი სიტყვა — ჭადრაგი დაუმატებია. ჭადრაგი ტაბლით მღერისაგან განსხვავებული სათამაშო ჩანს და სრულიადაც არ არის მოულოდნელი მასში შუასაუკუნეების შატრანგი (შატრანჯი) ვიგულვოთ, ე. ი. თანამედროვე ჭადრაკის წინაპარი, თამაში, რომელშიც გადამწყვეტი კამათელი, მაშასადამე, იღბალი კი არ არის, არამედ მოთამაშის ნება, აზრი.

ქართულ საჭადრაკო ლიტერატურაში შეუმჩნეველი დარჩა ჭადრაკის მოხსენიება XV საუკუნის ისეთ საინტერესო ძეგლშიც, როგორიცაა „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, რომლის ავტორია XV საუკუნის მოღვაწე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ამავე საუკუნეს განეკუთვნება თხზულების ხელნაწერიც. ძეგლი 1959 წელს გამოსცა მ. შენგელიამ. აქ ერთგან ვკითხულობთ: „ჩუენსა კაცი იყო მეტად ხელ წმიდა ხელის უფალი, ერთი ჭ ა ნ დ რ ი კ ი ეჴეთი შექმნა და მისი როკი ტყუისა და ერთობ ყუელაზე აწონეს და ერთისა ქრთლისა წონა იყო, მეტი არა“ (94, 25). გამომცემელს ლექსიკონში ჭ ა ნ დ რ ი კ ი ჭადრაკად აქვს განმარტებული.

მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს თავისებური ფორმა ჭ ა ნ დ რ ი კ ი და სიტყვა რ ო კ ი, რაც ჭადრაკის რაღაც ნაწილს აღნიშნავს.

ჭ ა ნ დ რ ი კ შ ი დ-ს წინ ნ თანხმოვანია განვითარებული. ანალოგიური ვითარება ქართულ მეტყველებაში სხვა სიტყვაშიც შეიძლება დავადასტუროთ. მაგალითად, სიტყვა ჭ ა დ ა რ ი რიგ კილოში ჭ ა ნ დ ა რ ი ს სახით გვხვდება.

უფრო საინტერესოა სიტყვის მეორე მარცვალში ა ხმოვნის შეცვლა ი ხმოვნით (ჭანდრიკი). ეს მოვლენა ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურება, უფრო სწორად, გადამწერის სპეციფიური შეცდომა ჩანს. ძეგლში ხშირია მსგავსი შემთხვევები სხვა სიტყვებშიც. გვაქვს ზაფრინი, ისკილი, ქუეყანი (გვ. 96, 98, 99, 92...) ზაფრანი, ასკილი, ქუეყანა-ს ნაცვლად და სხვ.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება შევეცადოთ მეორე საჭადრაკო ტერმინის რ ო კ ი ს მნიშვნელობის გარკვევასაც. ხომ არაა აქაც ბოლოკიდური ი ხმოვანი ა-ს ნაცვალი და რ ო კ ა ხომ არ უნდა გვქონოდა? როკაში კი ძნელი არ არის რ უ კ ა დავინახოთ, საჭადრაკო დაფის ქართული სახელწოდება. ო და უ ხმოვანთა გრაფიკული მონაცვლეობა ძველი და საშუალი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ცნობილი ფაქტია, სამკურნალო წიგნშიც იშვიათი როდია ასეთი რამ. აქ ვადასტურებთ ასეთ ფორმებს: თო, უკეთო, რამეთო (გვ. 69, 71, 77, 79, 84) ნაცვლად თუ, რამეთუ, უკეთუ ფორმებისა. ასევე პარალელურად გვხვდება ო და უ ასო სხვა ტერმინებშიც: ლობა — ლუბა, კოსტი — კუსტი და ა. შ.

საინტერესოა, რომ საჭადრაკო ტერმინი შ ა მ ა თ ი გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ დანართ სტროფში, ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავში: „ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცემენ ყოლ შამათსა“. აღნიშნული სტროფი (ისევე, როგორც ინდო-ხატაელთა მთელი ეპიზოდი) 1937 წლიდან 1966 წლამდე შედიოდა „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში.

როგორც ცნობილია, ინდო-ხატაელთა ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციათა შორის ყველაზე ადრინდელია, ყოველ შემთხვევაში, XVII საუკუნემდელია. ასე რომ, საჭადრაკო ტერმინი (შამათი) კიდევ ერთ მეჩვიდმეტესაუკუნემდელ ტექსტშიც დასტურდება.

რაც შეეხება XVII და XVIII საუკუნეებს, ჭადრაკი, ჭადრაკის ფიგურები და სათამაშო ტერმინები უხვად გვხვდება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. საჭადრაკო ლიტერატურაში ჩვეულებრივ არჩილის, საბას, თეიმურაზ მეორისა და ბესიკის ნაწერებზე მიუთითებენ, მაშინ, როცა საჭადრაკო ტერმინოლოგია გვხვდება, აგრეთვე, თეიმურაზ პირველის, ნოდარ ციციშვილის, ს. თანიაშვილის, ი. ტფილელის, ვახტანგ მეექვსისა და ძველი ქართული მწერლობის სხვა წარმომადგენელთა ნაწერებშიც.

მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

ჭირთაგან ნაახატები სევდას ვერ დ ა ე შ ა მ ა თ ა (თეიმურაზ I, ლეილმაჯნუნიანი, 264, 4); ე ტ ლ მ ა ნ კ უ ს ძლია მბრუნავმან, ჟამი არს აწ შ ა მ ა თ ი ს ა დ (ნოდარ ციციშვილი, შვიდი მთიები, 1766,4); ამარ ყველა, ჭ ა დ რ ა კ ი თ ა რა აჯობის, მოიმდურვა (ს. თანიაშვილი, გალექსილი ამირანდარეჯანიანი, 1882, 2); ვის სწადდის, ჭ ა დ რ ა კ ს იმღერდეს, ნარდის და ანუ ქოსისა (იქვე, 1299,1); შ ა მ ა თ ს უქმდით იქ ნადირსა, ვით ჭ ა დ რ ა კ შ ი მ ე ფ ე ს ქ ი შ ა დ (იქვე, 1788,3); გამსინჯველსა და მეოდნესთან უცოდრად რ ა თ ვ ი ქ ი შ ე ბ ი? (ვახტანგ VI, სიბრძნე მალაღობელი, 224,4); „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ დანართ თავში (ე. წ. ტარიელის მეორე ანდერძში), რომელიც XVII საუკუნის პოეტს იოსებ ტფილელს („დიდმოურავიანის“ ავტორს) ეკუთვნის, ვკითხულობთ: ვერც ხვარაზმშამ ძეთ ჩემთ რამე გამოჰპიროს შ ა მ ა თ-ქ ი შ ი; ზოგნი ნარდსა და ჭ ა დ რ ა კ ს ა ზედა იმღეროდიან (ბარამგულიჯანიანი, 206, 4); რად არ ასწავლი ჭ ა დ რ ა კ ს ა, ხელთ ლ ა ზ ი ე რ ი ს ჭერასა? (დ. სააკაძე, 196,65,2) და ა. შ.

XVII-XVIII საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლებში (მხედველობაში არა გვაქვს თეიმურაზ მეორისა და ბესიკის ზმები, არც საბას „სიტყვის კონა“) ვადასტურებთ ჭადრაკის ფიგურების ყველა სახელწოდებას და საჭადრაკო ტერმინებს (ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი, ქიშ, შამათი, რუკა).

გარდა ამისა, გვხვდება ზოგიერთი საინტერესო ცნობა თამაშის წესების შესახებ. მაგალითად, ს. თანიაშვილის გალექსილ „ამირანდარეჯანიანში“ ვკითხულობთ: არ ძალ-უც მ ე ფ ი ს შ ა მ ა თ ი უმეშვლოდ მარტო მ ხ ე დ ა რ ს ა (636,4). დღევანდელი სიტყვით ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა მეფის წინააღმდეგ დარჩენილია მეფე და მხედარი, მოგება არ შეიძლება, ყაიმია.

ვახტანგ მეექვსის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციაში ვკითხულობთ: ნახე, პ ა ი კ ი ექვსის რ უ კ ი ს წავლით გ ა ლ ა ზ ი ე რ დ ე ბ ი ს და მას მაღალს კიბეზედ ავა (საბა, II, 1, 86, 16-17). ამ პატარა ნაწყვეტით ვგებულობთ, რომ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე მოქმედებდა პაიკის ლაზიერად გაყვანის წესი. ჩანს, რომ ლაზიერი უკვე ძლიერ ფიგურას წარმოადგენდა (როგორც ცნობილია, ადრე ლაზიერი ყველაზე სუსტი ფიგურა იყო). ამავე დროს ირკვევა, რომ რ უ კ ა საჭადრაკო დაფასთან ერთად უჯრის აღმნიშვნელიც იყო.

ქართული მწერლობა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, თუ როგორ მოჰყვება 9 საუკუნის მანძილზე ქართველობას ჭადრაკი, როგორ განუყრელად იყო დაკავშირებული ეს კეთილშობილი თამაში ჩვენი ერის ყოფასთან. ქართული ლიტერატურის მკვლევარებისა და ქართული ჭადრაკის ისტორიკოსთა ვალია გამოამზეურონ ძველ ქართულ ძეგლებში ჭადრაკის ყოველგვარი კვალი და ფართო საზოგადოებრიობისთვის მისაწვდომი გახადონ იგი.

სარგის ცაიშვილი,
გურამ კარტოზია.

ჯილდო თბილისელებს

თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აფხაზეთის დედაქალაქში გამართულ ახალგაზრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკურ პირველობაში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა თასი გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულისთვის.

პირველთანრიგოსანთა შორის საინტერესო ბრძოლა გაიმართა თბილისელთა — ვ. ხაჩატუროვას, ტ. ნიკულინასა და ს. მერეჩკოს შორის. საპრიზო ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის დიდი წარმატება მოიპოვა აფხაზეთის გოგონათა ჩემპიონმა ა. მაქსიმოვამ. მან 54,3 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თასი დაიმსახურეს თბილისელმა სპორტსმენებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. სალუქვაძე). II ადგილზე არიან სოხუმელი, III — ბათუმელი სპორტსმენები.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •



სურათზე: ვ. ხაჩატუროვა ასრულებს ნებისმიერ ვარჯიშს.

ფოტო ავტორისა.

სეზონის ბოლოთქმა

უკრაინის ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლსკაია ზნამიას“ 20 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა ინტერვიუ კიევის „დინამოს“ უფროს მწვრთნელთან ვ. მასლოვთან. „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ ინტერვიუს რამდენიმე ნაწყვეტს.

● **ბოლო ხანებში პრესაში აზრი გამოთქვა ფეხბურთის ზოგიერთმა სპეციალისტმა, რომლებიც სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში კიევის „დინამოს“ გამარჯვებას საკმაოდ თავისებურად აფასებენ. ისინი კიეველთა ტრიუმფს მიაწერენ არა მათი თამაშის კლასის ამაღლებას, არამედ და უფრო მეტად, მოსკოვის კოლექტივების სუსტ გამოსვლას ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. როგორია თქვენი აზრი?**

— დაახლოებით 2 თვის წინ „კიევსკაია პრავდის“ რედაქციაში პრეს-კონფერენცია გაიმართა. ჯერ კიდევ მაშინ იყო ნათელი, რომ კიევის „დინამოს“ ჩემპიონობა გაინაღდა. ლაპარაკობდნენ გუნდთან ჩვენს მუშაობაზე, უკვე ვარაუდობდნენ, რომ გამოითქმებოდა სხვადასხვა აზრი, თუ როგორ შეძლეს დინამოელებმა ჩემპიონატის დამთავრებამდე თვენახევრით ადრე ჩემპიონობის მოპოვება. ამ ბოლო დროს ზოგიერთი „სპეციალისტისგან“ მართლაც გაიგონებდით, რომ კიეველთა წარმატებას ერთგვარად სხვა კოლექტივების, უმთავრესად, მოსკოველთა სუსტმა გამოსვლებმა შეუწყო ხელი.

ვფიქრობთ, ეს საქმის დედაარსი კი არა, უბრალოდ, მოსკოვის გუნდების დატირებაა. ასე ჟღერდა, მაგალითად, ძმები სტაროსტინების გამოსვლა ტელეგადაცემაში „ფეხბურთი-66“. მათ რომ ვუსმენდი, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, რისი თქმა სურდათ ცნობილ ვეტერანებს. მე რომ მკითხოთ, თუ კი მოსკოვის გუნდების თამაშის კლასი მართლაც დაეცა, როგორც ამას ძმები სტაროსტინები აღიარებენ, სპეციალისტებს სხვათა წარმატება კი არ უნდა დაემცირებინათ, არამედ ჯერ თავიანთ საქმეში უნდა გარკვეულიყვნენ რიგიანად, წარუმატებლობის მიზეზი გამოეკვლიათ. ჩვენ ხომ მოწმენი ვიყავით, რა ღირსეულ მეტოქეობას უწევდა მოსკოვის „სპარტაკი“ კიევის „დინამოს“ გათამაშების მთელი პირველი წრის მანძილზე და, ნაწილობრივ, მეორე წრეშიც. მხოლოდ ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე გახდა ნათელი, რომ მოსკოველი ავტოქარხნელები ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ, თუმცა მანამდე ამის შანსი ჰქონდათ. სატურნირო კიბეზე ცსკა-ს კოლექტივის წინსვლა კიდევ უფრო საინტერესო იყო. ჩვენთან შეხვედრამდე ხომ ბევრი ჩემპიონობას არმიელებს უწინასწარმეტყველებდა. როგორც ხედავთ, აქ რაღაც შეუსაბამობაა. ყოველივე ამას ანალიზი უნდა გაუკეთდეს და დადგინდეს: დაეცა ფეხბურთის კლასი მოსკოვში, თუ წინანდელ დონეზე დარჩა. განა ამაში სხვა ქალაქების გუნდები არიან დამნაშავე? საბჭოთა ფეხბურთის, საკლუბო ფეხბურთის კლასი საგრძნობლად აამაღლა არა მარტო კიევის „დინამომ“, არამედ როსტოვის ასკ-მ, ბაქოს „ნეფტიანიკმა“, ტაშკენტის „პახტაკორმა“.

● **ყოველი გუნდის წარმატების საწინდარი რეზერვია. პრესაში გამოითქვა აზრი, რომ კიევის „დინამო“, ფაქტიურად, უკრაინის ნაკრებია, რომელშიც მწვრთნელთა გემოვნების მიხედვით იყრიდნენ თავს რესპუბლიკის სხვა გუნდების საუკეთესო ფეხბურთელები. ამასთან, თქვენი წინამორბედებისგან ხშირად გვსმენია სინანული ძლიერი მოთამაშეების ნაკლებობის გამო. როგორ გავიგოთ ეს? არის თუ არა სიძნელეები გუნდის დაკომპლექტებაში? და თუ საიდუმლო არაა, რა სიძნელეებია ეს?**

— არ შემიძლია ამ კითხვას დამშვიდებით ვუპასუხო. ხშირად მაოცებს ზოგიერთი მტკიცება ისეთი ჟურნალისტებისა, როგორც მ. მიხაილოვი და ა. გალინსკი არიან. ბოლო თვეებში მათ საკმაოდ კარგად გაიცნეს გუნდი, იციან როგორ მუშაობს, რით სუნთქავს კოლექტივი. მაგრამ როცა საქმე კიევის „დინამოს“ დაკომპლექტებას შეეხება, მათ წერილებში მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ უზუსტობას.

3 წლის წინათ ჩვენმა კოლექტივმა უარყო, ჩემი აზრით, ერთი უსწორო პრაქტიკა, რომლის ძალითაც კიევის „დინამო“ სხვა გუნდებისა და სხვა რესპუბლიკების გამოცდილი მოთამაშეებით კომპლექტდებოდა. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ გუნდი თავის, ასე ვთქვათ, „ასაკგადაცილებულ“ მოთამაშეებთან ერთად მოემზადება უახლოესი წლების ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის. ვეტერანებს კი შეცვლიან კიევის ახალგაზრდა ფეხბურთელები, უკრაინის სხვა ქალაქების განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენები.

ეს მუდამ კარგად იცოდნენ მიხაილოვმა და გალინსკიმ. მაგრამ ზოგჯერ მათი ნათქვამით ისე ჩანს, თითქოს ჩვენი გუნდი სულ იოლად იღებდეს შევსებას. „ასეთი და ასეთი ფეხბურთელი გნებავთ? სიამოვნებით! სხვა მოთამაშე გსურთ? ინებეთ!“ საქმე კი სულ სხვაგვარადაა. მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი „მოზრდილი“ ფეხბურთელი — ხმელნიცკი მივიღეთ. იგი დონბასში ერთ წელიწადს თამაშობდა, „დინამოში“ ორი სეზონია გამოდის. ხმელნიცკი თავისი სურვილით გადმოვიდა ჩვენთან. მეორე მოთამაშე პარკუიანია. რად უნდა განაწყენდნენ ოდესელები? პარკუიანი ხომ სულ ცოტახანს გამოდიოდა „ჩერნომორეცში“. ამ გუნდში იგი კიროვოგრადის ძირეული კოლექტივიდან გადავიდა. ყველა დანარჩენი, ყველა, ვისაც ჩამოსულად თვლიან, 17-18 წლისა მოვიწვიეთ. ჩვენ ვიკრებთ ახალგაზრდებს და ვმუშაობთ მათთან.

რატომ არ ითქვა პრესაში რამდენი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან? საგანგებოდ უნდა განვუცხადო „კომსომოლსკაია ზნამიას“ მკითხველებს, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე კიევის „დინამოდან“ წავიდა 36 (!) ფეხბურთელი, რომლებიც ახლა წარმატებით თამაშობენ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებში, იცავენ რესპუბლიკის ფეხბურთის ღირსებას.

● **„სოვეტსკი სპორტის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაიბეჭდა ფეხბურთის მიმომხილველის ა. ვიტის წერილი. ავტორი თავისებურად აფრთხილებს კიევის „დინამოს“ და „თამაშის ხასიათის შეცვლას“ ურჩევს. წერილში ნათქვამია ისიც, რომ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ მას შემდეგ, რაც ჩემპიონები გახდნენ, ახალი სეზონი წინა წლის „მარაგით“ დაიწყეს და წოდება ვერ შეინარჩუნეს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ვფიქრობთ, წლევანდელ სეზონში ჩვენმა გუნდმა კარგად იმუშავა, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი თვალსაზრისით. სხვადასხვა ტაქტიკურ სახეცვლილებას ვახდენდით, მაგრამ ტაქტიკის შეცვლა მთლიანად, ასე ხელის ერთი მოსმით როდი მოხერხდება. როგორც წესი, სიახლემ ოთხ წელიწადში ერთხელ შეიძლება იჩინოს თავი. იგი ფეხდაფეხ მისდევს მსოფლიო ჩემპიონატს. გაისად ჩვენი ტაქტიკური ვარიანტების სახეცვლილება ბევრად იქნება დამოკიდებული მასზე, თუ რა რაოდენობით გვეყოლება გუნდში შემსრულებლები: ბევრი დინამოელი ხომ ოლიმპიურ ნაკრებში შეიძლება მოხვდეს. რასაკვირველია, მოვამზადებთ რაღაც ახალს, მაგრამ ყველაფერს წინასწარ ვერ გაითვალისწინებ. პრაქტიკას თავისი შესწორებები შეაქვს...



როგორც ცნობილია, რიგაში ამას წინათ ჩატარდა პოლონელთა და საბჭოთა მოკრივეების ევროპული თასის გათამაშების საპასუხო ფინალური მატჩის პირველი ხუთი შეხვედრა. მასპინძლებმა ყველა ბრძოლა მოიგეს, და, მეორე შეხვედრის შედეგების მიუხედავად, დაისაკუთრეს კრივის საერთაშორისო ასოციაციის პირველი პრეზიდენტის — ემილ გრემოს სახელობის ევროპული თასი. ამგვარად, მოასპარეზეთაგან ყველაზე უფროსი 21 წლისა იყო.

* * *

სურათზე: ქვემსუბუქი წონის მოკრივეების კ. გოლიაშის (პოლონეთი) და ო. გუროვის (მარცხნივ) ორთაბრძოლა.

ტელეფოტო ვ. შანდრინისა.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

გფრ: ლიდერები აკეთებენ ფრეს

გფრ-ის ჩემპიონატის ლიდერმა — „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ XVII ტურის გასვლითი შეხვედრა დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ ფრედ დაამთავრა — 2:2.

ქვეყნის ჩემპიონმა „მიუნჰენ 1860“-მა მაინის ფრანკფურტში ადგილობრივ „აინტრახტთან“ ასევე ფრეს მიაღწია — 3:3.

თასის მფლობელის — მიუნჰენის „ბაიერნისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ საინტერესო შეხვედრა მიუნჰენელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. გოლი გაიტანა მიულერმა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ნიურნბერგი“ — „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) 0:4, „ჰანოვერ 96“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:1, „ვერდერი“ (ბრემენი) — „კიოლნი“ 1:3, „როტ-ვაისი“ (ესენი) — „შტუტგარტი“ 1:3, „კარლსრუე“ — „შალკე 04“ 1:0, „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) — „მაიდერიხერი“ 3:3.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ჰამბურგერ შფ“	17	24:19	22
„აინტრახ.“ (ბრაუნშვ.)	17	26:19	22
„აინტრახ“. (ფრანკფ.)	16	33:20	20

საფრანგეთი: წინაა „სენტ-ეტიენი“

საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერმა „სენტ-ეტიენმა“ XX ტურში შინ დაამარცხა „ტულუზა“ — 3:0. გოლები გაიტანეს ბოსკიემ, რეველიმ და მეკლუფიმ.

ქვეყნის ჩემპიონმა „ნანტმა“ ლიონში მოუგო ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს — 2:1.

სხვა შედეგები ასეთია: „სედანი“ — „ლანი“ 3:0, „ბორდო“ — „რენი“ 1:0, „მონაკო“ — „სტრასბურგი“ 1:1, „ვალანსიენი“ — „მარსელი“ 2:1, „რუანი“ — „სტად ფრანსე“ 2:1, „სოშო“ — „ნიცა“ 4:0, „ანჟე“ — „ნიმი“ 4:1, „ლილი“ — „რეიმსი“ 1:1.

საუკეთესო სნაიპერია ჟ. ლეში („ლანი“) — 18 გოლი.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი“	20	37:21	28
„ნანტი“	20	45:27	27
„ლანი“	20	40:29	24
„ანჟე“	20	40:28	23
„ლილი“	20	31:24	23

ჩილი: 39 ქულით

ჩილის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია სანტ-იაგოს „უნივერსიდად კათოლიკა“, რომელმაც მორიგ ტურში დაამარცხა „სან ლუისი“ — 2:1.

„უნივერსიდად კათოლიკას“ 39 ქულა აქვს, „კოლო-კოლოს“ — 36, „მაგალანესს“ — 34, ხოლო „უნივერსიდად დე ჩილის“ — 33 ქულა.

მისის სონდერსის მოგება

ინგლისელმა ჰარი სონდერსმა ფეხბურთის ტოტალიზატორში მოიგო უზარმაზარი თანხა — 146.882 გირვანქა სტერლინგი. მის ბილეთში სწორად იყო ნავარაუდევი 9 შეხვედრის შედეგი ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტურის 11 მატჩიდან. არ ვიცით, მართლა ესოდენ კარგი მცოდნეა თუ არა ეს 54 წლის მეხანძრე პოპულარული თამაშისა და ბრიტანეთის გუნდების შესაძლებლობისა. საქმე ის გახლავთ, რომ ბილეთი, რომელმაც მოიგო, მან კი არა, მისმა ცოლმა შეავსო. თავად სონდერსს დაავიწყდა ამის გაკეთება და ცოლმა გადაწყვიტა... დახმარებოდა მას.

ვ. სერგეევი.

(საკდესი).

ფეხბურთი

ე. ფაბრი დისკვალიფიცირებულია

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების სელექციონერი ედმონდო ფაბრი ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით დისკვალიფიცირებულია. მას 1967 წლის 30 ივნისამდე უფლება არა აქვს იმუშაოს თუნდაც რომელიმე საკლუბო გუნდის მწვრთნელადაც კი.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი იყო ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფაბრის ცილისმწამებლური განცხადება ნაკრების მთავარი ექიმის ფინის მიმართ. სელექციონერმა ინგლისში იტალიის გუნდის წარუმატებლობა მთლიანად ექიმსა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელ ფრაპჩის გადააბრალა. მაგრამ ფაბრის დასჯას სინამდვილეში იტალიელთა მარცხი დაედო საფუძვლად.

კაცმა რომ თქვას, ინგლისის ჩემპიონატის „უიღბლოთა“ შორის (იგულისხმება ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ფეოლაც) ყველაზე წავებული მაინც ფაბრი დარჩა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბაზები

ფეხბურთი. არმიის სპორტული კლუბის სტადიონი (შაუმიანის ქ. № 57). **25 დეკემბერი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშების ფინალური მატჩი: ნორჩი დინამოელი — განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლა.** დასაწყისი 13 ს.

ფარიკაობა. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **25 დეკემბერი. სპორტის ოსტატ მ. ადეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი.** მონაწილეობენ: **ი. რილსკი, ვ. ხარხალუპი, ო. გლაზოვი** (ყველა — მოსკოვი), **მ. რაკიტა, უ. მავლიხანოვი, ვ. ვიტნი, ვ. ნაზლიმოვი** (ყველა — რსფსრ), **ბ. მელნიკოვი, ე. ვინოკუროვი** (ორივე — ლენინგრადი), **ე. ჩერეპოვსკი, ვ. სიდიაკი, ვ. არდერიხინი** (ყველა — უკრაინა), **ა. ალანაკიანი** (სომხეთი), **ნ. ასათიანი, მ. სახვაძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. გოგელია** (ყველა — საქართველო) და სხვ. დასაწყისი 12 ს.

ავტოსპორტი. ვაკე — საბურთალოს გზა. **25 დეკემბერი. რბოლა „სეზონის დახურვის პრიზზე“.** მონაწილეობენ: **აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები.** დასაწყისი 11 ს.

△ **ბუდაპეშტი.** აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის კალენდარული შეხვედრა ფრენბურთში უნგრეთის „ჰონვედისა“ და საფრანგეთის „აზნიერ სპორტსის“ ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს უნგრელებმა — 3:0. მათ სამივე პარტია ერთნაირი ანგარიშით (15:6) მოიგეს.

△ **რომი. იტალიის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ვაჟებში გახდა ფ. მენიკელი.**

△ **ბრიუსელი.** აქ გაიმართა ბელგიისა და ჰოლანდიის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩები. ვაჟებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2, ხოლო ქალებში — სტუმრებმა — 3:1.

△ **ბუქარესტი.** რუმინეთში სტუმრად იმყოფება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები. სტუმრებმა იმარჯვეს როგორც ჭაბუკთა (9:2), ისე გოგონათა (3:0) გუნდების ასპარეზობაში.

△ **ბრიუსელი.** ბელგიის ჩემპიონი ველოკროსში გახდა ახალგაზრდა სპორტსმენი ფლემინკი, რომელმაც 25 კმ 1 საათსა და 11 წუთში დაფარა.

△ **დასავლეთ ბერლინი.** აქ გაიმართა ინგლისისა და გფრ-ის მაგიდის ჩოგბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 4:4.

△ **ლაიპციგი. ადგილობრივ კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგო ფინეთის ეროვნულ გუნდს — 67:32.**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

იმ მიზნით, რომ დროულად და უდანაკარგოდ მიიღოთ თქვენს მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები და რაიმე გაუგებრობას არ ექნეს ადგილი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო გირჩევთ ერთხელ კიდევ შეამოწმოთ ხელმოწერის ქვითრის სისწორე — ჟურნალის ან გაზეთის დასახელება, გამოწერის ხანგრძლიობა, მისამართი, თქვენი გვარი და ინიციალები.

იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერის ქვითრის შევსებისას დაშვებულია რაიმე შეცდომა, სასწრაფოდ მიმართეთ ხელმოწერის გამფორმებელს აღნიშნული ქვითრის წარდგენით.

გახსოვდეთ! სწორად გაფორმებული ხელმოწერის ქვითარი უზრუნველყოფს თქვენს მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთის დროულად და უდანაკარგოდ მიღებას.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველო.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06179